ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-00/23

ქ. თბილისი

24. 09. 2012

„უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის
ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ინტენსიური კურსების"
შექმნის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის, ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების (ოქმი №3, 03.10.2012) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ქართულ უნივერსიტეტში შეიქმნას „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ინტენსიური კურსები" (შემდგომში „კურსები");
2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი პროგრამის ფარგლებში სწავლება და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა დაევალოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) დეკანატს;
3. სწავლება განხორციელდეს უფასოდ - მსმენელებისთვის სწავლის საფასურის დაკისრების გარეშე;
4. სააუდიტორიო მეცადინეობები დაიწყოს 2012 წლის 08 ოქტომბრიდან და სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა განისაზღვროს 30 (ოცდაათი) კვირით, 60 ECTS კრედიტის მოცულობით;

5. პროგრამის ხელმძღვანელობა და პროგრამის განსახორციელებლად მოსაწვევი სპეციალისტების შერჩევა დაევალოს ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელს, უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ტარიელ ფუტკარაძეს;

6. პროგრამის შესაბამისად გარკვეული საგნების საწავლების უზრუნველყოფა, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, დაევალოთ უნივერსიტეტის შემდეგ თანამშრომლებს: უნივერსიტეტის სრულ პროფესორს ტარიელ ფუტკარაძეს; უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ვახტანგ გურულს და აკადემიური საბჭოს მდივანს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) საგანმანათლებლო პროგრამა „საქართველოს ისტორიის" დოქტორანტს ლევან ჯიქიას;

7. პროგრამის ფარგლებში, მის განსახორციელებლად მოწვეულ თითოეულ სპეციალისტს მის მიერ ჩატარებული აკადემიური (სალექციო-სააუდიტორიო) საათები აუნაზღაურდეს უნივერსიტეტის მიერ მოწვეული სპეციალისტებისათვის დადგენილი ანაზღაურების ოდენობის შესაბამისად, მისი აკადემიური ხარისხის გათვალისწინებით.

8. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოთ: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) დეკანატს, საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს, პროფესორ ვახტანგ გურულს, აკადემიური საბჭოს მდივანს ლევან ჯიქიას, პროგრამული უზრუნველყოფისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე